პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 48 (4042)

10

1970 წ. მარტი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## ახალი ამბები

● ტერსკოლი, 8 მარტი. ჩეგეტის ფერდობებზე დაიწყო სსრ კავშირის ჩემპიონატი სამთოსათხილამურო სპორტში. პირველად გაიმართა სპეციალური სლალომი. ვაჟებში ოქროსა და ვერცხლის მედლები შესაბამისად მოიპოვეს კიროვსკელებმა ვ. მელნიკოვმა და ა. პროკოფიევმა. ბრინჯაოს მედალი ხვდა ს. გრიშჩენკოს (ლენინგრადი). გამარჯვებულმა მელნიკოვმა 610-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 220 მ) ორი ცდის ჯამში 1.53,37 აჩვენა. ქალთა შორის ყველას აჯობა 18 წლის მოსკოველმა ს. ისაკოვამ. 410-მეტრიან ტრასაზე (სიმაღლეთა სხვაობა 170 მ) მისი შედეგია 1.21,32. II ადგილზეა კემეროვოელი ლ. ტინიკოვა, III — გ. შიხოვა (მოსკოვის ოლქი).

● მოსკოვი, 8 მარტი. ნორჩ პიონერთა სტადიონის მანეჟში მძლეოსნებმა ორი ახალი საკავშირო მიღწევა დაამყარეს. რეკორდების ცხრილში პირველი შესწორება შეიტანა ა. ზიმინამ, რომელმაც 800 მ 2 წუთსა და 7 წამში გაირბინა. მეორე მიღწევის ავტორი გახდა ტ. ნეფიოდოვა, რომელმაც ხუთჭიდში 4661 ქულა დააგროვა. ეს შედეგი, ამავე დროს, საუკეთესოა მსოფლიოში.

● მელბურნი, 8 მარტი. მოსკოვის „დინამოს" ფეხბურთელთა გუნდმა დაამთავრა თავისი ავსტრალიური ტურნე. ბოლო მატჩში მან დიდი ანგარიშით (7:1) დაამარცხა ვიქტორიის შტატის ნაკრები. ბოლოსწინა შეხვედრა მოსკოველებს ადელაიდაში ჰქონდათ, სადაც სამხრეთ ავსტრალიის ნაკრებს სძლიეს — 3:1.

● მოსკოვი, 8 მარტი. „დინამოს" სტადიონის დათოვლილ მინდორზე დღეს ადგილობრივი „დინამოსა" და „სპარტაკის" ვეტერანი ფეხბურთელების ტრადიციული მატჩი გაიმართა. საინტერესო თამაში, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა, ფრედ დამთავრდა — 2:2. ბურთები გაიტანეს: სპარტაკელებმა ნეტომ და პარშინმა, დინამოელებმა — კესარევმა და ბობკოვმა.

● ტულა, 8 მარტი. რუსეთის ფედერაციის პირველობის აქ გამართულ ზონალურ შეჯიბრებაში მეხიკოს ოლიმპიადის ბრინჯაოს პრიზიორმა ე. გუშჩინმა (მოსკოვის ოლქი) ბირთვი 18,95 მეტრზე ჰკრა, რაც საუკეთესო შედეგია წლეულს სსრ კავშირის დარბაზებისთვის.

● ლენინგრადი, 8 მარტი. „ლომვეშაპთა" მასობრივი გაცურვა ქალთა საერთაშორისო დღეს მიეძღვნა. ყინულიან წყალში ზამთრის ცურვის 100-ზე მეტი მოყვარული ჩაეშვა, რომელთაგან ნახევარზე მეტი ქალი იყო. მამაც ქალთა ჯგუფს სათავეში ედგა 60 წლის ვ. ლაბუცკაია.

● პარიზი, 8 მარტი. ხელბურთელ ვაჟთა მსოფლიო ჩემპიონატში I ადგილი დაიკავა რუმინეთის ნაკრებმა, რომელმაც ფინალში უაღრესად მწვავე ბრძოლის შემდეგ სძლია გდრ-ის გუნდს — 13:12 (4:5). ბრინჯაოს მედლების მფლობელთა ვინაობა გაირკვა იუგოსლავიისა და დანიის ნაკრები გუნდების შეხვედრაში. გაიმარჯვეს იუგოსლაველებმა — 29:12. აი, როგორია მსოფლიოს VII ჩემპიონატში ადგილების საბოლოო განაწილება: რუმინეთი, გდრ, იუგოსლავია, დანია, გფრ, შვეცია, ჩეხოსლოვაკია, უნგრეთი, სსრ კავშირი, იაპონია, ისლანდია, საფრანგეთი.

● ესტერსუნდი, 8 მარტი. რკინიგზელ სპორტსმენთა საერთაშორისო კავშირის VIII ჩემპიონატში საბჭოთა მოთხილამურეებმა კიდევ 5 მედალი მოიპოვეს. ლენინგრადელმა ბ. ჩერიომუხინმა ვერცხლი მოიხვეჭა ორჭიდელთა შეჯიბრებაში — 403 ქულა (გაიმარჯვა პოლონელმა გონსენიცამ — 434,5). 30 კილომეტრზე რბოლა მოიგო ფინელმა რუდგრენმა (1:39.58), II ადგილი დაიკავა მოსკოველმა ვ. პეჩენიცინმა, III — იაროსლაველმა ნ. ბალაშინმა. ოქროს მედლებით აღინიშნა საბჭოთა მოთხილამურეების გამოსვლა 4×10 კილომეტრზე ესტაფეტაში, ხოლო ჩერიომუხინმა ვერცხლის მედალი მოიპოვა ტრამპლინიდან ხტომაშიც.

● ნესში (შვეცია), 8 მარტი. ყინულზე მოტორბოლაში მსოფლიოს პირველობის ფინალურ შეჯიბრებაში შარშანდელმა მსოფლიო ჩემპიონმა, უფელმა გ. კადიროვმა 14 ქულა დააგროვა და ვერცხლის მედალს დასჯერდა. ოქროს დაეპატრონა ჩეხოსლოვაკიის მოტოციკლისტი ა. შვაბი (15 ქულა), ბრინჯაოს — შვედი კ. ვესტლუნდი (12). ამდენივე ქულა დააგროვა მისმა თანამემამულემ კ. სამუელსონმა. საბჭოთა მრბოლელებმა ი. დუბინინმა, ვ. კატიუჟანსკიმ და ინგლისელმა ე. როსმა V-VII ადგილები გაიყვეს (9-9 ქულა). ი. ლამბოცკი (სსრ კავშირი) 8 ქულით VIII ადგილზეა.

## ბოლო მედლებიც გათამაშდა

ლიუბლიანა, 8 მარტი. გუშინ ტივოლის სპორტის სასახლის ტრიბუნებზე ტევა არ იყო — ყინულის სარბიელზე ფიგურისტი ქალები ასპარეზობდნენ. მსოფლიო ჩემპიონის ტიტულს ყველა ერთხმად უწინასწარმეტყველებდა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელს, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს გ. ზაიფერტს. მოლოდინი გამართლდა: ზაიფერტმა უზრწყინვალესად შეასრულა ნებისმიერი პროგრამა და ოქროც მოიხვეჭა. სხვათა შორის, იგი ჩემპიონატის ერთადერთი მონაწილეა, რომელიც ყველა მსაჯმა I ადგილზე დააყენა.

ზაიფერტის გარდა ნებისმიერი პროგრამით მოასპარეზეთა შორის განსაკუთრებით კიდევ სამმა სპორტსმენმა გამოიჩინა თავი. ესენი არიან კანადელი მაგნუსენი და ამერიკელები ლინი და ლინ-ჰოლმსი.

მაგრამ ამათგან საპატიო კვარცხლბეკზე მხოლოდ ლინ-ჰოლმსი ვიხილეთ. ამჯერადაც თავისი „მზაკვრული" როლი ითამაშა სავალდებულო პროგრამამ, ეგრეთ წოდებულმა „სკოლამ", სადაც ტრადიციულად ყველას აჯობა ავსტრიელმა შუბამ. მან სწორედ ამის წყალობით მოიხვეჭა ვერცხლის მედალი.

ბრინჯაოს მედალი ერგო ლინ-ჰოლმსს.

სავალდებულო პროგრამის შემდეგ VII ადგილზე მყოფი მაგნუსენი საბოლოოდ IV ადგილზე გავიდა.

საბჭოთა ფიგურისტები ათეულშიც ვერ მოხვდნენ: შჩეგლოვამ XII ადგილი დაიკავა, ხოლო ალექსანდროვამ — XIV.

დღეს გაიმართა ფიგურისტთა საჩვენებელი გამოსვლები.

დიდოსტატი მ. ტალი და საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვახუშტის სახელობის გეოგრაფიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომელი ირინა კაცევიჩი კარგა ხანია იცნობენ ერთმანეთს. და აი, მეგობრებმა ოჯახის შექმნა გადაწყვიტეს. გუშინწინ თბილისის ქორწინების სახლში მათ ხელი მოაწერეს.

ს უ რ ა თ ზ ე: მ. ტალი მეუღლით.

ფოტო ა. კოტორაშვილისა.



## გამარჯვების მომტანი ორთაბრძოლა

ტუაფსე, 9 მარტი. (საკდესი). მეზღვაურთა სასახლეში მიმდინარე სამბისტთა საკავშირო გუნდური პირველობის ბოლო დღეს ფინალში ერთმანეთს შეხვდნენ შეიარაღებული ძალებისა და „ბურევესტნიკის" მოჭიდავეები. ბოლო ორთაბრძოლის წინ ანგარიში იყო 5:4 სტუდენტების სასარგებლოდ, მაგრამ ყველაფერი მძიმე წონის ათლეტთა დაძაბულმა შეხვედრამ გადაწყვიტა. ასპარეზობის ბოლო წუთზე სსრ კავშირის ჩემპიონმა, კიეველმა ვ. საუნინმა (114 კგ) დაამარცხა გორის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი გ. თანდილოვი. მიუხედავად ამ მარცხისა, საქართველოს წარმომადგენელმა (100 კგ) სპეციალისტებზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა.

ანგარიში გახდა 5:5, მაგრამ არმიელებს მეტი წმინდა მოგება აღმოაჩნდათ და ჩემპიონებიც ისინი გახდნენ.

III ადგილი დაიკავეს დინამოელებმა, IV — „ტრუდის", V — „მოლდოვის" სპორტსმენებმა.

შეჯიბრება პირველად ტარდებოდა 10 წონით კატეგორიაში. გამარჯვებულები და პრიზიორები შევლენ ძიუდოისტთა საკავშირო ნაკრებში, რომელიც მაისში ბერლინს იასპარეზებს ევროპის ჩემპიონატში.

## ორი ოქრო ერთ ტრამპლინზე

მიასი, 8 მარტი. სახელგანთქმულმა მოსკოველმა მოთხილამურემ ვ. ვორონკოვმა აქ ორი კურდღელი დაიჭირა: რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ოქროს მედალიც მოიხვეჭა და სსრ კავშირის ჩემპიონის წოდებაც 50 კილომეტრზე რბოლაში — 2:54.39. არმიელმა მოთხილამურემ თავიდანვე ხელთ იგდო ლიდერობა და საუცხოო ტემპში ბოლომდე შეინარჩუნა იგი. მას თითქმის 2 წუთით ჩამორჩა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი, თანაქალაქელი ვ. ვედენინი, რომელსაც ვერცხლი ერგო. ბრინჯაოს ლაურეატი გახდა ნოვოსიბირსკელი გ. ჩაპლიგინი.

ბიატლონისტებმა 4×7,5 კილომეტრზე ესტაფეტა გაითამაშეს. ყველას აჯობა ლენინგრადის გუნდმა (ნ. პუზანოვი, რ. საფინი, ი. კრაკოსევიჩი, ა. რაზეპინი). შეჯიბრების ფავორიტმა — ნოვოსიბირსკის გუნდმა, რომელსაც სათავეში ედგნენ მსოფლიო ჩემპიონები ა. ტიხონოვი და ვ. მამატოვი, წინ უკრაინის ნაკრებიც გაუშვა.

გორკი, 8 მარტი. რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის პროგრამით მოასპარეზე „მფრინავი მოთხილამურეები" და ორჭიდელები აქ ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. ორჭიდში ხტომის შემდეგ, ისე როგორც შტრბსკე-პლესოს მსოფლიო ჩემპიონატში, კიროველი სპორტის ოსტატი ი. კოზულინი დაწინაურდა. და სწორედ ისე, როგორც მაღალმთიან ტატრებში, აქაც ჩემპიონობა რბენის შემდეგ დათმო. საბოლოოდ უძლიერესის სახელი მოიპოვა მსოფლიო პირველობის ვერცხლის პრიზიორმა ნ. ნოგოვიცინმა (კემეროვო) — 420,1. კოზულინს მან რბენაში 17,5 ქულა მოუგო. II ადგილზე გავიდა კოზულინი — 420,0. მესამე პრიზიორი გახდა ესტონელი ტ. ჰალიანდი — 410,8 ქულა.

50-მეტრიანი ტრამპლინიდან ხტომაში იმარჯვა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ვ. ბელოუსოვმა (ლენინგრადი). იგი ჯერ 58 მეტრზე გადახტა, მეორე ცდით 59 მ აჩვენა, საბოლოოდ 214,8 ქულა დააგროვა. მეორე პრიზიორი მ. ვერეტენიკოვი ნახტომების სიგრძის ჯამში ნახევარი მეტრით შორს დაეშვა, მაგრამ სტილში წააგო და საბოლოოდ 214,7 ქულა მოიპოვა. III ადგილზეა ა. ივანიკოვი (მოსკოვი) — 205,6 ქულა (56,5 და 56,5 მ).

დიდი ტრამპლინიდან ხტომაში სსრ კავშირისა და რსფსრ-ს ხალხთა ზამთრის IV სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი გ. ნაპალკოვი (გორკი) — 234,8 ქულა (ნახტომები — 99,5 და 94 მ). II ადგილზეა ა. ჟეგლანოვი (ლენინგრადი) — 216,3 (97 და 86,5), III — ვერეტენიკოვი — 215,0 (100,5 და 86).

IV ადგილი დაიკავა კ. წაქაძემ — 211,5 ქულა.

ვ. ბელოუსოვი VII ადგილზეა.

ჩელიაბინსკი, 8 მარტი. ფიგურული ციგურაობის ოსტატთა შეჯიბრებაში უკვე გამოვლინდნენ პირველი ჩემპიონები. წყვილთა ასპარეზობაში ყველას აჯობეს მსოფლიოს, ევროპისა და ოლიმპიური თამაშების მრავალგზის ჩემპიონებმა ლ. ბელოუსოვამ და ო. პროტოპოპოვმა (ლენინგრადი) — 403,3 ქულა (ადგილების ჯამი — 9).

## [illegible]

ინცელი (გფრ), [illegible] იაპონელი მოციგურავე [illegible] სუძუკი რამდენიმე წელია [illegible] რება მსოფლიო რეკორდს სპრინტში. და აი, მან საწადელს მიაღწია: ამ ქალაქის საციგურაოზე 500 მ გუშინ 38,71 წამში გაირბინა, რაც 0,02 წამით სჯობს საბჭოთა სპორტსმენის ვ. მურატოვის მსოფლიო მიღწევას.

მაგრამ სუძუკის სიხარული ხანმოკლე გამოდგა: დღეს მისი მსოფლიო რეკორდი დაემხო — შვედმა ჰ. ბიორესმა ეს მანძილი 38,46 წამში გაირბინა.

დღევანდელი შეჯიბრება კიდევ ორი მსოფლიო რეკორდით აღინიშნა: ჰოლანდიელმა კ. ფერკერკმა 1500 მ 2 წუთსა და 1,9 წამში დაფარა, ხოლო მისმა თანამემამულე ი. ბოლსმა მრავალჭიდში 171,512 ქულა დააგროვა.

## [illegible]

### კარპატის მთებს სიმაღლე მოაკლდათ

უჟგოროდი. ჯერ კიდევ ცოტა ხნის წინ არც ისე ადვილი იყო, ვთქვათ, კოსტერიოვკის მთის წვერზე ასვლა. ახლა 10 წუთი საკმარისია, რომ ერთი კილომეტრის სიმაღლეზე ახვიდე: მწყობრში ჩადგა ახალი საბაგირო-საბუქსირო გზა. ამან დიდად „გაუიოლა ცხოვრება" ზამთრის სპორტის მოყვარულებს. განსაკუთრებით ხალხმრავლობაა გამოსასვლელ დღეებში.

იმიერკარპატებში კიდევ ოთხი ასეთი გზაა მოწყობილი. მალე სხვა ორიც ჩადგება მწყობრში. მოწყობილობა მოძმე ჩეხოსლოვაკიიდან გამოგზავნეს, მონტაჟი დავალებული აქვთ ვოლგოგრადელ სპეციალისტებს.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



# თბილისის ტურის ფინიში

თბილისი. სპორტის სასახლე. 7 მარტი.

„სტროიტელი" (კიევი) — „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) 87:79 (45:32).

„სტროიტელი": კოვალენკო (22), ვალტინი (16), კოპიჩკო (13), სმოლიაკოვი (12), გლადუნი (8), მარტინოვი (6), ფილოზოფი (4), შაბლინსკი (2), ზაბროდა (2), ლუშნენკო (2).

„ლოკომოტივი": ვეისმანი (28), სუბოტინი (17), ნიკიშინი (12), პოზდნიაკოვი (11), კუზნეცოვი (7), პლატონოვი (2), კიმი (2), მალაშინი, შვედოვი.

მსაჯები: ა. ამამჯიანი (ერევანი), ფ. მატკოვსკი (კიშინიოვი).

• • •

„ჟალგირისი" (კაუნასი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 95:75 (51:38).

„ჟალგირისი": ბუდნიკასი (23), პაულაუსკასი (16), ვენზბერგასი (16), ჟუკაუსკასი (12), პატკაუსკასი (8), იურკშაიტისი (6), გედრაიტისი (4), ჩუპკოვასი (4), სარპალიუსი (4), ვენცლოვასი (2).

„ურალმაში": ჩერნი (19), ბოლვაჩოვი (14), დვორნი (14), ერიომინი (8), სილკინი (7), კოვალიოვი (5), კოროსტილიოვი (4), კანდელი (2), აზაროვი (2), მიშაკოვი, კოჟინი, ივანოვი.

მსაჯები: რ. ხომერიკი, ბ. ნიკურაძე (ორივე — თბილისი).

• • •

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — ასკ (კიევი) 80:57 (44:32).

„სპარტაკი": ფიოდოროვი (16), ბიკოვი (15), ივანოვი (14), როჟინი (8), იუმაშევი (6), შტუკინი (5), კრივოშჩოკოვი (4), ვოლჩკოვი (4), ბოლშაკოვი (3), ა. ბელოვი (3), პანკოვი (2).

ასკ: ოკიპნიაკი (13), დერბენცევი (11), პოგულიაი (9), სუშაკი (8), ნოვიკოვი (6), ვოლკოვი (4), პოროხნენკო (2), ეგოროვი (2), სალუხინი (1), დეტიუკი (1), ნიკოლაევი, რაძიევსკი.

მსაჯები: დ. დავთიანი (ერევანი), ლ. არსლანოვი (ყაზანი).

• • •

„დინამო" (მოსკოვი) — „კალევი" (ტარტუ) 75:72 (38:35).

„დინამო": ბალაშოვი (22), სოლოგუბი (11), სოკოლოვი (10), ზასტუხოვი (10), ავრაამოვი (8), იზბიცკი (8), ნიკიტინი (4), ცინმანი (2), პეტროვი, გოლუბკოვი.

„კალევი": კრიკუნი (17), ტამისტე (17), ლეპმეტსი (12), ლიპსო (8), ლენციოსი (7), ტომსონი (5), სალუმეტსი (4), ა. ლილი (2), ილვესი.

მსაჯები: ვ. რუჩინსკასი (კაუნასი), ვ. კოიფმანი (მინსკი).

• • •

ცსკა — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 93:70 (40:27).

ცსკა: სიდიაკინი (16), ბლიკი (14), ს. ბელოვი (14), სელიხოვი (8), ქარმუხამედოვი (8), მილოსერდოვი (8), ნესტეროვი (7), ანდრეევი (6), კაპრანოვი (4), ილიუკი (4), კოვირკინი (4).

„ბურევესტნიკი": მაისურაძე (16), ნინიაშვილი (12), ჩხიკვაძე (8), ძიძიგური (6), ჯულელი (6), ღიბრაძე (5), ბიჭიაშვილი (5), არუთინოვი (4), პულავსკი (4), მხეიძე (2), მანაგაძე (2).

მსაჯები: ვ. რიბაკოვი (რიგა), ა. კუუსკვერი (ტალინი).

• • •

ასკ (რიგა) — „დინამო" (თბილისი) 116:115 (44:50, 86:86, 96:96, 106:106).

ასკ: ეგლიტისი (30), ფრეიმანისი (26), სტრელისი (22), მუიჟნიეკსი (12), იასნუსი (8), ბალოდისი (6), ტროიცკისი (4), ლეგზდინში (4), ზაბელო (2), დავიდსი (2).

„დინამო": ბოლქვაძე (27), მოსეშვილი (25), საკანდელიძე (22), მაღალაშვილი (18), ლეჟავა (9), ჩიხლაძე (9), ქორქია (3), უგრეხელიძე (2), ნარიმანიძე.

მსაჯები: ლ. არსლანოვი, ვ. ხრომუშინი (კიევი).

• • •

თბილისი. სპორტის სასახლე. 8 მარტი.

„ლოკომოტივი" (მოსკოვი) — „ურალმაში" (სვერდლოვსკი) 80:75 (34:36).

„ლოკომოტივი": მალაშინი (16), პოზდნიაკოვი (13), ვეისმანი (13), კიმი (12), სუბოტინი (8), ნიკიშინი (6), შვედოვი (6), პლატონოვი (4), კუზნეცოვი (2).

„ურალმაში": კანდელი (25), ბოლვაჩოვი (15), ჩერნი (10), სილკინი (10), კოჟინი (6), კოვალიოვი (4), ივანოვი (3), მიშაკოვი (2), ერიომინი.

მსაჯები: ვ. კოიფმანი, ფ. მატკოვსკი.

• • •

„დინამო" (მოსკოვი) — ასკ (კიევი) 80:79 (44:46).

„დინამო": ბალაშოვი (24), სოლოგუბი (15), სოკოლოვი (10), ავრაამოვი (10), იზბიცკი (9), ზასტუხოვი (6), პეტროვი (6), ცინმანი.

ასკ: ნოვიკოვი (33), სალუხინი (22), ოკიპნიაკი (12), პოგულიაი (6), ვოლკოვი (6), ნიკოლაევი, რაძიევსკი, სუშაკი, ეგოროვი.

მსაჯები: რ. ხომერიკი, თ. ქიქოძე (თბილისი).

• • •

„სპარტაკი" (ლენინგრადი) — „კალევი" (ტარტუ) 84:77 (47:40).

„სპარტაკი": ივანოვი (23), ფიოდოროვი (14), ა. ბელოვი (13), შტუკინი (10), კრივოშჩოკოვი (10), ბოლშაკოვი (8), ბიკოვი (6), როჟინი, ვოლჩკოვი.

„კალევი": ლიპსო (22), ტამისტე (19), კრიკუნი (12), ლენციოსი (8), ტომსონი (6), სალუმეტსი (6), ლეპმეტსი (4), პ. მეტსარი.

მსაჯები: ვ. კოსტინი (მოსკოვი), ბ. ნიკურაძე.

• • •

„სტროიტელი" (კიევი) — „ჟალგირისი" (კაუნასი) 88:76 (48:41).

„სტროიტელი": ვალტინი (33), კოვალენკო (18), გლადუნი (13), მარტინოვი (8), სმოლიაკოვი (8), ფილოზოფი (4), ზაბროდა (2), კოპიჩკო (2), შაბლინსკი, ლუშნენკო.

„ჟალგირისი": პაულაუსკასი (28), ბუდნიკასი (14), ჟუკაუსკასი (10), ვენზბერგასი (8), სარპალიუსი (6), გედრაიტისი (4), ჩუპკოვასი (4), პატკაუსკასი (2), იურკშაიტისი.

მსაჯები: დ. დავთიანი, ვ. რიბაკოვი.

• • •

ასკ (რიგა) — „ბურევესტნიკი" (თბილისი) 66:60 (40:26).

ასკ: ფრეიმანისი (18), ეგლიტისი (14), სტრელისი (9), მუიჟნიეკსი (8), ზაბელო (5), კალნინში (4), ლეგზდინში (4), დავიდსი (2), ბალოდისი (2), იასნუსი.

„ბურევესტნიკი": ჩხიკვაძე (16), ბიჭიაშვილი (11), პულავსკი (8), არუთინოვი (6), მანაგაძე (6), გლურჯიძე (5), ძიძიგური (4), ჯულელი (2), ნინიაშვილი (2).

მსაჯები: ი. ულიაშენკო (ლენინგრადი), ვ. ხრომუშინი.

• • •

ცსკა — „დინამო" (თბილისი) 92:82 (53:47).

ცსკა: ანდრეევი (22), ს. ბელოვი (17), სიდიაკინი (14), ქარმუხამედოვი (10), სელიხოვი (8), კოვირკინი (7), ბლიკი (4), კაპრანოვი (4), მილოსერდოვი (4), ილიუკი (2), ნესტეროვი.

„დინამო": საკანდელიძე (14), ჩიხლაძე (14), მაღალაშვილი (13), უგრეხელიძე (12), ბოლქვაძე (9), მოსეშვილი (8), ლეჟავა (4), ფიცხელაური (3), ქორქია (3), ვასიუტინსკი (2), ნარიმანიძე.

მსაჯები: ვ. რუჩინსკასი, ა. კუუსკვერი.

## თბილისის ტურის ცხრილი

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 5 | 5 | 0 | 450—336 | 5 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 6 | 5 | 1 | 446—384 | 5 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 5 | 4 | 1 | 399—390 | 4 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 6 | 4 | 2 | 445—402 | 4 |
| „დინამო" (თბილისი) | 6 | 4 | 2 | 551—538 | 4 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 6 | 3 | 3 | 464—494 | 3 |
| ასკ (კიევი) | 6 | 3 | 3 | 434—460 | 3 |
| ასკ (რიგა) | 6 | 3 | 3 | 462—483 | 3 |
| „კალევი" (ტარტუ) | 6 | 2 | 4 | 507—493 | 2 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 6 | 1 | 5 | 395—444 | 1 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 6 | 1 | 5 | 431—483 | 1 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 6 | 0 | 6 | 435—530 | 0 |

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 10 მარტისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 21 | 19 | 2 | 1784—1469 | 19 |
| „სტროიტელი" (კიევი) | 22 | 16 | 6 | 1759—1583 | 16 |
| „სპარტაკი" (ლენინგრადი) | 22 | 16 | 6 | 1696—1520 | 16 |
| „ჟალგირისი" (კაუნასი) | 22 | 16 | 6 | 1753—1687 | 16 |
| „კალევი" (ტარტუ) | 22 | 13 | 9 | 1822—1742 | 13 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 21 | 12 | 9 | 1730—1681 | 12 |
| „დინამო" (თბილისი) | 22 | 12 | 10 | 1749—1792 | 12 |
| ასკ (კიევი) | 22 | 8 | 14 | 1590—1622 | 8 |
| ასკ (რიგა) | 22 | 6 | 16 | 1606—1755 | 6 |
| „ბურევესტნიკი" (თბილისი) | 22 | 6 | 16 | 1581—1776 | 6 |
| „ლოკომოტივი" (ალმა-ათა) | 22 | 4 | 18 | 1603—1798 | 4 |
| „ურალმაში" (სვერდლოვსკი) | 22 | 3 | 19 | 1630—1879 | 3 |

## ყურადღება: ბურთი თამაშშია!



სურათზე: კალათბურთელთა XXXVII საკავშირო ჩემპიონატის თბილისის ტურის სამდივნო, რომელსაც შეჯიბრების დღეებში მონაწილეებზე ნაკლები ჯაფა არ ადგა.

• •

## ყველა გზა კალათისკენ მიდის...



სურათზე: თბილისის „ბურევესტნიკისა" და რიგის არმიელთა შეხვედრის მომენტი. ბიჭიაშვილი მაღალ ნახტომში ბურთს მეტოქის კალათისკენ გზავნის, არმიელი დავიდსი კი ცდილობს ხელი შეუშალოს მას. მეტოქეთა ბრძოლას თვალყურს ადევნებს ძიძიგური (მარცხნივ).

ფოტოსურათები ა. კოტორაშვილისა.

# ზრდა თვალსაჩინოა

თბილისის თამბაქოს № 2 ფაბრიკაში (მეთოდისტი ა. მიგრიაული) ყოველწლიურად უმჯობესდება მასობრივ-ფიზკულტურული და გამაჯანსაღებელი მუშაობა. რეგულარულად ეწყობა შიდასაკოლექტივო ტურნირები, სამატჩო შეხვედრები მეზობელ კოლექტივებთან, ტურისტული ლაშქრობანი... ყოველივე ამან ფიზკულტურასა და სპორტში კიდევ უფრო მიიზიდა თანამშრომლები: თუ შარშანდელი წლის დასაწყისში აქ „სპარტაკის" 270 წევრი ჰყავდათ, წლის ბოლოსთვის ეს ციფრი 300-მდე გაიზარდა. ფიზკულტურელთა რიცხვმაც იმატა.

შარშან თბილისელ მეთამბაქოეთა დიდი ინტერესი გამოიწვია ჯანმრთელობის საფაბრიკო სპარტაკიადამ, რომლის პროგრამაში 6 სახეობა შედიოდა. ლონისძიება ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. ტურნირში 100-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა. მათგან ბევრმა პირველად შეასრულა სათანრიგო ნორმატივი. მოჭადრაკეებში ჩემპიონის ტიტული დაისაკუთრა საბეჭდი საამქროს უფროსმა ჯ. ტრიპოლსკიმ. შაშში ყველას აჯობა „პრიმის" წარმოების მექანიკოსმა ჯ. როთველაძემ. მაგიდის ჩოგბურთელთა ტურნირი მოიგო მექანიკური საამქროს მექანიკოსმა კ. ამაშუკელმა. მძლეოსნებიდან ყველაზე კარგი მაჩვენებელი ჰქონდა ფილტრის საამქროს ოსტატ ქალს ნ. გრეულს...

მეთამბაქოეთა ნაყოფიერ მუშაობაზე ისიც მეტყველებს, რომ მათ ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების გეგმა-ვალდებულება გადაჭარბებით გაანაღდეს. წლეულს კოლექტივი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს ალსანიშნავ შეჯიბრებაში ჩაება და გაზრდილი ვალდებულება აიღო. გადაწყვეტილი აქვთ ზეგეგმით მოამზადონ მშთ კომპლექსის I საფეხურის 15 და II საფეხურის 10 ნიშნოსანი, 20 მესამე და 2 მეორეთანრიგოსანი, შეავსონ საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების რიგები, უფრო ხშირად მოაწყონ შიდასაკოლექტივო ტურნირები და სამატჩო შეხვედრები, ტურისტული ლაშქრობანი, შეჯიბრებები თევზაობაში (შარშან ამ ფაბრიკის მეთევზეებმა საქალაქო ტურნირში II ადგილი დაისაკუთრეს), რაც მთავარია, ორგანიზებულად ჩაატარონ ჯანმრთელობის სპარტაკიადა.

ე. ქელბაქიანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ყოველი მხრიდან

## „სსრ კავშირი — მსოფლიო ჩემპიონი ფეხბურთში"

მექსიკის ჩემპიონატამდე სამი თვით ადრე იტალიის რადიომსმენელები მსოფლიო გვირგვინის 16 მაძიებლის „უმძაფრესი ბრძოლის" მოწმენი გახდნენ. ისინი 45 წუთის განმავლობაში უსმენდნენ უჩვეულო რეპორტაჟს ტურინის გამოთვლითი ცენტრიდან, სადაც ელექტრულ-გამომთვლელმა მანქანამ ყველა გუნდის შანსები შეაჯამა და უძლიერესად სსრ კავშირის ნაკრები დაასახელა.

რეპორტაჟის მსვლელობის დროს სტუდიას კავშირი ჰქონდა იტალიის ცნობილ ფეხბურთის სპეციალისტებთან, მაგალითად, „მილანის" მწვრთნელ როკოსთან, ქვეყნის მოწინავე სპორტულ მიმომხილველებთან, აგრეთვე, ფეხბურთის უცხოელ მოღვაწეებთან: ნორვეგიელ გ. ნორდალთან, უელსელ ჯ. ჩარლზთან და სხვებთან.

„წინასწარი თამაშები ქვეჯგუფებში, შეიძლება ითქვას, უსიურპრიზოდ ჩატარდა. რობოტიცა და ადამიანებიც თითქმის ერთსულოვანნი აღმოჩნდნენ. მათ მეოთხედფინალების მონაწილეებად დაასახელეს ბრაზილიის, ინგლისის, გფრ-ის, იტალიის, სსრ კავშირის, ურუგვაის, მექსიკისა და ბულგარეთის გუნდები. აზრთა განსაკუთრებული სხვადასხვაობა არც ნახევარფინალისტების განსაზღვრისას შეიმჩნეოდა: სსრ კავშირმა დაამარცხა ურუგვაი, იტალიამ — ჩემპიონატის მასპინძლები, ბრაზილიამ — ბულგარეთი, გფრმა — მსოფლიო ჩემპიონები.

დადგა ნახევარფინალური შეხვედრების მომენტი: სსრ კავშირი — ბრაზილია და გფრ — იტალია. სპეციალისტთა გამოკითხვამ დაადასტურა, რომ ბრაზილიას უფრო საიმედო შანსები აქვს, ვიდრე სსრ კავშირის ნაკრებს, ხოლო მეორე შეხვედრის თაობაზე შეხედულებები თითქმის ერთნაირი იყო. ამასობაში ელექტრულ-გამომთვლელმა მანქანამ ახალი მონაცემები მოამზადა და ტაბლოზე გაჩნდა წარწერა: „სსრ კავშირი — გფრ".

გადაცემის მონაწილეებს აძლევენ ბოლო კითხვას: ვინ გაიმარჯვებს III ადგილისთვის ბრძოლაში და ვის დარჩება ჟიულ რიმეს თასი? სპეციალისტებმა III ადგილი მიაკუთვნეს ბრაზილიას, ხოლო თასის მფლობელად გფრ-ის გუნდი დაასახელეს. მანქანას კი აქაც საკუთარი აზრი აღმოაჩნდა: I ადგილისთვის ბრძოლაში სსრ კავშირის გუნდი „ამარცხებს" გფრ-ის ფეხბურთელებს (69 შესაძლებლობა 31-ის წინააღმდეგ).

მაშ ასე, მანქანამ თავისი საქმე გააკეთა, მაგრამ აი, რა თქვეს ამ პროგნოზებზე გადაცემის ცოცხალმა მონაწილეებმა:

— არც ისე სულელია მანქანა, რაკი II ადგილი გფრ-ს მიაკუთვნა, IV კი იტალიას.

— კომპიუტერმა (ელექტრულ-გამომთვლელი მანქანა) ჩვენგან, სპეციალისტებისგან განსხვავებით ალბათ ის გარემოებაც გაითვალისწინა, რომ საბჭოთა ფეხბურთელებმა უკვე დაიწყეს ჩემპიონატისთვის გულმოდგინედ მზადება.

— სსრ კავშირის ნაკრების წარმატება ბრაზილიელებთან არ უნდა გვიკვირდეს. გამარჯვებისთვის ხომ სულ ერთი ზედმეტი გოლის გატანაც საკმარისია.

— კომპიუტერი აშკარად რუსების მხარეზე იყო!

ელექტრულ-გამომთვლელმა მანქანამ ბრძოლაში გამოიწვია სპეციალისტები. ვინ უფრო სწორი აღმოჩნდება მათგან, ამას, მხოლოდ მეხიკოს ორთაბრძოლები გადაწყვეტს.

## მოცურავეებო, ისწავლეთ ცეკვა!

მოცურავეთა საერთაშორისო ასპარეზობა—„ბრემენის კვირეული" ამ ბოლო ხანს ძალიან პოპულარული გახდა მსოფლიოს უძლიერეს სპორტსმენთა შორის. გასულ წლებში ზამთრისა და გაზაფხულის შესაყარზე ისინი ბრემენში იკრიბებოდნენ, რათა აქ შეემოწმებინათ თავიანთი მომზადების დონე, უფრო ახლოს გასცნობოდნენ მეტოქეებს.

წლეულს თებერვლის ბოლოსთვის დაგეგმილი მეთოთხმეტე ტრადიციული დღესასწაული არ შედგა. მიზეზი თავის გამოსვლაში დაასახელა მოცურავეთა დასავლეთგერმანული კავშირის პრეზიდენტმა კარგმა: „შეჯიბრება ფინანსურ დაბრკოლებათა გამო ჩაიშალა. ასპარეზობათა ჩატარებისთვის აუცილებელი იყო 100 ათასი მარკა. ეს არც ძალიან ბევრია და არც ძალიან ცოტა.

ქალაქი ბრემენი მზად იყო 30 ათასის გადახდა ეკისრა. გვიმტყუნა ტელევიზიამ, რომელმაც 45 ათასის მაგიერ მხოლოდ 10 ათასი გაიღო, სხვა წყაროები კი არ აღმოჩნდა".

პრეზიდენტს აშკარად მოერიდა სახელმწიფოს მიმართ პრეტენზიების გამოთქმა, თუმცა დასასრულს მან აღნიშნა: „ამ დროს ქალაქის მრავალრიცხოვანი სტუმრებ ის (ე. ი. უსაქმური მდიდარი ტურისტების) გასართობად საცეკვაო ტურნირი ჩატარდა. ამ ტურნირის მოწყობისთვის ქალაქის ხელისუფლებამ 40 ათასი მარკა მიიღო, სპორტის ოლიმპიური სახეობისთვის კი ფული არ აღმოჩნდა!"

რას იზამ, კომენტარები ზედმეტია. მოცურავეებო, ისწავლეთ ცეკვა!

## პირველი მსხვერპლი

გრენობლის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი სპეციალურ სლალომში, ავსტრიელი სამთომოთხილამურე ჰ. ჰუბერი ამჟამად ინსბრუკის ფსიქიატრიულ საავადმყოფოში წევს. დიაგნოზი: [illegible] ლილობა. როგორ აღმოჩნდა სპორტსმენი კლინიკაში?

„ჰუბერის ავადმყოფობის ისტორია ჩვენი ქვეყნის მთელი სათხილამურო სპორტის ავადმყოფობის ისტორიაა"; — წერენ დღეს ავსტრიის გაზეთები. ბულვარული ფურცლების მიერ ავსტრიისა და საფრანგეთის სამთომოთხილამურეებს შორის „მსოფლიო ბატონობისთვის" ატეხილი ხმაური, სამთო თხილამურებისა და სხვა ინვენტარის დამამზადებელი ფირმების მეპატრონეთა სხვადასხვა ჯურის „შეღავათები", „სამთოსათხილამურო ცირკის" მენეჯერთა ათასნაირი ხრიკები — ამას ყველა როდი გაუძლებს.

ჰერბერტ ჰუბერი ვალ-გარდენში (იტალია) ჩავიდა მსოფლიო ჩემპიონატზე, მაგრამ ბოლო მომენტში იძულებული იყო ასპარეზობაში მონაწილეობაზე უარი ეთქვა. იგი სამშობლოში გაისტუმრეს და საავადმყოფოში მოათავსეს.

რა ზომები იქნება მიღებული საიმისოდ, რომ ბოლო მოეღოს ამ „არასერიოზულ კამპანიას", როგორც ავსტრიის სამთომოთხილამურეთა ნაკრების ხელმძღვანელი ფ. ჰოპიჰლერი ამბობს. ამ შეკითხვაზე პასუხის გაცემა ყველასთვის ძნელია. ეს გაუჭირდებათ შვეიცარიული გაზეთის „შპორტის" (გამოდის ციურიხში) ჟურნალისტებსაც კი, რომლებიც წერდნენ: „სამთოსათხილამურო სპორტმა ადამიანი შეიწირა მსხვერპლად. სწორედ თხილამურებმა მიიყვანა ჰუბერი ამ მდგომარეობამდე".

რასაკვირველია, თხილამურები აქ არაფერ შუაშია. ბრალი სპორტს არ შეიძლება დაედოს.



# კარგი სტარტი

ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს ეძღვნება პროფტექნიკური განათლების მოსწავლეთა რესპუბლიკური სპარტაკიადა სპორტის სამხედრო-ტექნიკურ სახეობებში.

სპარტაკიადის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით მოეწყო სამდღიანი რესპუბლიკური სემინარი ფიზაღზრდის ხელმძღვანელებისთვის, ხოლო ერთდღიანი შეკრება — სასწავლებლების დირექტორებისთვის.

სპარტაკიადა სამ ეტაპად ტარდება. პირველი ეტაპია მასობრივი შეჯიბრებები სასწავლებლებში საწარმოო ჯგუფებს შორის, მეორე ეტაპი — სასწავლებლების ნაკრები გუნდების შეჯიბრებები, მესამე ეტაპი — ფინალური ასპარეზობანი.

პირველი ეტაპის შეჯიბრებები მალე დამთავრდება. აღსანიშნავია თბილისის მე-6, მე-11, 31-ე, 43-ე, 54-ე და გარდაბნის სოფლის მეურნეობის მექანიზაციის მე-10 სასწავლებლები, რომლებმაც შიდასასკოლო სპარტაკიადები მაღალ დონეზე გამართეს.

ტ. ვაჟარაძე.

ფეხბურთი

შენელილი კადრი

## XXXII დაიწყო!

ბაქო, 8 მარტი. სსრ კავშირის XXXII ჩემპიონატი ფეხბურთში ყველაზე ადრეულია ამ დიდ შეჯიბრებათა ისტორიაში — დღეს გათამაშდა პირველი კალენდარული მატჩი. მისი მონაწილენი იყვნენ ცსკა და დონეცკის „შახტიორი", რომელთა შეხვედრა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციის გადაწყვეტილებით აქ გაიმართა.

1970 წლის ჩემპიონატის პირველი გოლი მე-8 წუთზე გაიტანა კოპეიკინმა, ხოლო 21-ე წუთზე პოლიკარპოვმა კიდევ ერთხელ აიძულა „შახტიორი" ცენტრიდან დაეწყო თამაში.

მეორე ტაიმი მიმდინარეობდა დონეცკელთა განუწყვეტელ იერიშებში, მაგრამ არმიელებმა შეინარჩუნეს ანგარიში და პირველი გამარჯვება ჩაიწერეს გათამაშების ცხრილში.

აზერბაიჯანის ფეხბურთის ფედერაციას დაწესებული ჰქონდა სპეციალური პრიზი მატჩის საუკეთესო მოთამაშისთვის. იგი მიეკუთვნა მოსკოველთა თავდამსხმელ ვ. ფედოტოვს.

## საწვრთნელი მატჩები

გაგრა. 9 მარტი. „დინამო" (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი). 1:1. თბილისელთაგან ბურთი 11-მეტრიანი დარტყმით გაიტანა მეტრეველმა.

ეშერა. 9 მარტი. „დინამო" (ლენინგრადი) — „არარატი". 2:0.

## „ბ" კლასში

ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნებული იყო „ბ" კლასის საკავშირო გათამაშებაში მონაწილე ფეხბურთელთა გუნდების რაოდენობა რესპუბლიკათა მიხედვით.

სსრ კავშირის ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა დამატებით მისცა „ბ" კლასში რსფსრ-ს 6 ადგილი და საქართველოს — 1 ადგილი.

### აბაშა

სოფელ მარნის საშუალო სკოლას (დირექტორი მ. თელია, ფიზკულტურის მასწავლებელი ვ. ქუქალია) კეთილმოწყობილი შენობა არ ჰქონდა. შარშან სოფლის მშრომელთა ინიციატივით სკოლისთვის აიგო ორსართულიანი შენობა, რომელსაც კეთილმოწყობილი სპორტდარბაზიც აქვს. აქ ხშირად ეწყობა შიდასასკოლო შეჯიბრებები მძლეოსნობაში, ფრენბურთში, კალათბურთში, მაგიდის ჩოგბურთში, ჭადრაკში, შაშსა და სპორტის სხვა სახეობებში.

რ. ჟანტურია.

### წითელწყარო

საინტერესოდ ჩატარდა სოფელ არხილოსკალოს საშუალო სკოლის პირველობები ჭადრაკში, მაგიდის ჩოგბურთსა და ფრენბურთში. მოჭადრაკეთა შეჯიბრებაში იმარჯვა X კლასის გუნდმა, სკოლის ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა ნ. თაბაგარმა. მაგიდის ჩოგბურთელთა და ფრენბურთელთა ტურნირებიც მეათეკლასელებმა მოიგეს.

გ. კაკალაშვილი.

## ვინ იქნება ჩემპიონი?

ფოთი, 9 მარტი (ტელეფონით, ჩვენი სპეც. კორ.). საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატის ფინიშზე ბრძოლა მწვავედ მიმდინარეობს. გთავაზობთ ორი ტურის შედეგებს.

**XI ტური.** ჯანოევი — იზვოზჩიკოვი 0:1, ნეურონოვი — ტალი 0:1, გედევანიშვილი — ჩეჩელიანი 0:1, ჯინჯიხაშვილი — მიქაძე 1:0, გურგენიძე — უბილავა 0,5:0,5, ბოკუჩავა — გიორგაძე 0,5:0,5, ლევინი — ჩიქოვანი გადაიდო. ისვენებდა ბუსლაევი.

ამ დღეს დიდოსტატმა ტალმა დაამთავრა ტურნირი, რომელშიც უკონკურსოდ გამოდიოდა. მან 14-დან 11 ქულა მოაგროვა. გუშინწინ სახელოვანი დიდოსტატი ფოთის ჭადრაკის მოყვარულებს შეხვდა ერთდროული თამაშის სეანსში, რომელიც 40 დაფაზე გამართა. მხოლოდ პროფტექნიკური სასწავლებლის მძღოლმა ი. ჩაბრავამ მიაღწია ყაიმს, დანარჩენებმა წააგეს.

დაძაბული იყო გურგენიძე — უბილავას შეხვედრა, მაგრამ გადამწყვეტი უპირატესობა ვერც ერთმა მეტოქემ ვერ მიიღო და ყაიმი სავსებით ლოგიკური აღმოჩნდა. ჯინჯიხაშვილმა სწრაფად მოუგო მიქაძეს.

**XII ტური.** იზვოზჩიკოვი — ბოკუჩავა 1:0, ჩეჩელიანი — ნეურონოვი 1:0, მიქაძე — გედევანიშვილი 1:0, უბილავა — ჯინჯიხაშვილი გადაიდო, ბუსლაევი — გურგენიძე 0,5:0,5, გიორგაძე — ლევინი 0,5:0,5. ისვენებდა ჩიქოვანი.



ჯინჯიხაშვილი და უბილავა I ადგილის სერიოზული კანდიდატები არიან და ამიტომ მათმა შეხვედრამ ყველა დააინტერესა. თავიდან უპირატესობა უბილავას მხარეზე იყო, მაგრამ შუა თამაშში მან თავი ვერ გაართვა პოზიციას და ინიციატივა ხელთ იგდო ჯინჯიხაშვილმა. პარტია გადაიდო უბილავასთვის მძიმე მდგომარეობაში.

გურგენიძემ ბუსლაევთან შეხვედრაში დებიუტიდან უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ ბოლომდე ვერ შეინარჩუნა. ბუსლაევმა მეთოდურად გაათანაბრა შანსები და მეტოქენიც დაზავდნენ.

12 ტურის შემდეგ ლიდერობენ ბ. გურგენიძე, რ. ჯინჯიხაშვილი—8,5-8,5 ქულა და თითო გადადებული პარტია, ს. ჩეჩელიანი — 7,5, ე. უბილავა — 6,5 ქულა და 2 გადადებული პარტია, ა. ბუსლაევს — 6 ქულა.

ი. ლოლუა,
ჩემპიონატის მთავარი არბიტრი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი.

# „ფოლადთან" — ზეიმზე

რუსთავის მეტალურგიული ქარხნის სპორტკლუბ „ფოლადის" წევრებისთვის შარშანდელი წელი ნაყოფიერი გამოდგა: ბევრი შიდასაკოლექტივო შეჯიბრება ჩაატარეს, რესპუბლიკურ ასპარეზობაშიც ბევრჯერ მონაწილეობდნენ და წარმატებებიც მოიპოვეს. გადაჭარბებით შესრულდა თანრიგოსანთა მომზადების გეგმა: მოამზადეს 2 სპორტის ოსტატი, 25 პირველთანრიგოსანი, 74 მეორე და 287 მესამეთანრიგოსანი. ამ კლუბის 40 წარმომადგენელი „განთიადის" ცენტრალური საბჭოს ნაკრებში შედის. რესპუბლიკაში კარგადაა ცნობილი მოჭიდავე ა. მენაბდიშვილის, ველოსიპედისტ ვ. კეხბას, მძლეოსან ვ. ნესტერენკოსა და სხვათა სახელები.

მოპოვებული შედეგების შეჯამებას, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის 52-ე და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 49-ე წლისთავს მიეძღვნა სპორტული დღესასწაული, რომელიც ამას წინათ „ფოლადის" სპორტდარბაზში ჩატარდა.

ზეიმის დაწყებამდე კლუბის გამგეობის თავმჯდომარემ ი. ცინცაბაძემ, ქარხნის პროფკავშირის კომიტეტის თავმჯდომარემ შ. საყვარელიძემ და ქარხნის კომკავშირის კომიტეტის მდივანმა ლ. გავაშელაშვილმა კომბინატის მოწინავე გუნდებს, სპორტსმენებსა და ფიზკულტურის აქტიურ მუშაკებს გადასცეს თასები, სიგელები, ფასიანი საჩუქრები.

დღესასწაულში მონაწილეობის მისაღებად რუსთაველებს მიწვეული ჰყავდათ თბილისის დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხნის სპორტკლუბ „განთიადის" წევრები.

ასობით მოყვარული ესწრებოდა ტანვარჯიშის, აკრობატიკისა და მხატვრული ტანვარჯიშის ოსტატთა გამოსვლებს.

შემდეგ სარბიელი დაეთმოთ ფრენბურთელ ვაჟებს. „ფოლადისა" და „განთიადის" შეხვედრა „ფოლადის" გამარჯვებით დამთავრდა. კალათბურთელ გოგონათა ასპარეზობაშიც მასპინძლებმა იმარჯვეს.

ბოლოს ჩატარდა „განთიადის" საქალაქო საბჭოს პირველობის ფინალური შეჯიბრებები თავისუფალ ჭიდაობაში მოზარდთა და მოზრდილთა შორის.

მოზარდებში წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ა. ჩანადირმა, კ. კობახიძემ, გ. ტოტელიშვილმა (სამივე — „ფოლადი"), გ. ლობჟანიძემ (ქიმიური კომბინატი), ო. გურასიძემ, ტ. დიასამიძემ (ორივე — „ფოლადი"), ვ. ცანკაშვილმა, ი. ბაცაცაშვილმა და თ. კობახიძემ (სამივე — ქიმიური კომბინატი).

მოზრდილები რვა წონით კატეგორიაში ასპარეზობდნენ. გაიმარჯვეს: გ. იმერლიშვილმა, ზ. გოგოლაძემ, ქ. ლობჟანიძემ, შ. მაისურაძემ (ყველა — ქიმიური კომბინატი), გ. ყაველაშვილმა, გ. ჯანდიერმა, ო. ბერიშვილმა (ყველა — „ფოლადი"), თ. მერმანიშვილმა (№ 3 პროფტექნიკური სასწავლებელი).

რ. ბაბრიშვილი.
(ჩვენი კორ.).

რუსთავი.

• • •



სურათზე: „ფოლადისა" და „განთიადის" ფრენბურთელთა შეხვედრის მომენტი.

ფოტო ავტორისა.




# ჩვენი ეზოს გუნდი

... ამ ფიქრებში ვიყავი, ჩვენი ავტობუსი ერთი დიდი შენობის წინ რომ გაჩერდა. მძღოლს მადლობა გადავუხადეთ და სასტუმროს ვესტიბიულში შევედით.

რამდენიმე წუთში ჩვენთვის განკუთვნილ ოთახებში გავნაწილდით...

ჩვენმა აღმზრდელმა გათამაშების კალენდარი გადაგვიშალა წინ. დღეს შაბათი იყო, ხვალ ჩემპიონატი საზეიმოდ უნდა გახსნილიყო, შემდეგ ჩატარდებოდა „ა" კლასის გუნდების მატჩი: „ზენიტი" — „სპარტაკი" (მოსკოვი). კვირა დილით ვარჯიში გვქონდა იმ სტადიონზე, სადაც ორშაბათს „სალუტის" გუნდს უნდა შევხვედროდით.

— ვარჯიშის შემდეგ „ერმიტაჟს" დავათვალიერებთ, იქიდან კი საზეიმო გახსნაზე წავალთ, — გვითხრა დიმიტრი მწვრთნელმა.

უთენია ყველანი ფეხზე ვიყავით. ჩანთებში ჩავაწყვეთ სპორტული ფორმა და აღმზრდელის განკარგულებას ველოდით. მალე ისიც გამოჩნდა და სართულის ბუფეტში სასაუზმოდ მიგვიპატიჟა. შემდეგ ქუჩაში გავედით. სასტუმროს წინ ავტობუსი იდგა, რომელსაც ეწერა: „საქართველოს დელეგაცია".

... კიროვის სახელობის სტადიონი მართლაც მშვენიერ ადგილზეა განლაგებული. ირგვლივ სულ მწვანეა — ხეივნები, სკვერები. სტადიონი თურმე ასი ათას კაცს იტევს.

ავტობუსს ჩვენი ტოლი ლენინგრადელი ბიჭები შემოეხვივნენ.

— გრუზია, გრუზია, — გვესმოდა მათი შეძახილები. ერთი ქერა ბიჭი მოგვიახლოვდა, მოგვესალმა და გვითხრა:

— ერთხელ მამას თბილისში ვყავდი. ლამაზი ქალაქია. სტადიონზეც ვიყავი. ვნახე თქვენების თამაში მოსკოვის „სპარტაკთან". ორით ნოლზე დაამარცხეთ მომავალი ჩემპიონები. ჰო, რა ბურთი გაიტანა გივი ნოდიამ, ან რად ღირდა ილიადის პენალტი! დღეს სპარტაკელები „ზენიტს" ხვდებიან. გამარჯვების იმედი არა გვაქვს — სუსტად თამაშობენ ლენინგრადელები. ისე ლენინგრადელებს ვამბობთ, თორემ „ზენიტში" ნახევარზე მეტი სხვა ქალაქებიდან ჩამოსული ფეხბურთელები არიან.

ვალოდია კრავცოვი ჩვენს ვარჯიშს დაესწრო, წვრთნის შემდეგ ჩვენივე ავტობუსით იმგზავრა და სასტუმროსთან გამოგვემშვიდობა.

— აუცილებლად მოვალ თქვენს მატჩებზე. ნახვამდის. გამარჯვებას გისურვებთ!

ვალოდიას ხელი დავუქნიეთ და სასტუმროში შევედით.

„ერმიტაჟი" ჩვენს სასტუმროსთან ახლოს ყოფილა და ბიჭები დიმიტრი მწვრთნელის წინამძღოლობით მუზეუმისკენ გავეშურეთ.

პირდაპირ თვალები აგვიჭრელდა — მზერას ვერ მოაშორებდი, ისეთი შთამბეჭდავი ქმნილებები იყო. ეს რაფაელი, ეს მიქელანჯელო, გოია, რეპინი, სურიკოვი. ვინ დაიმახსოვრებს მათს გვარებს...

ერთი კი მიკვირდა: ზღვა ხალხს თითქმის ვერ იტევდა მუზეუმი. ექსკურსიამძღოლები ჯგუფებად დაყოფილ მნახველებს ნაწარმოებთა შინაარსს აცნობდნენ. ზოგი უსმენდა, ზოგი—არა. ბევრი დიდი ჯგუფი ისეთი მწყობრი ნაბიჯით ჩაუვლიდა მსოფლიო მნიშვნელობის ქმნილებას, გეგონებოდათ, საპირველმაისო პარადზე მთავრობის ტრიბუნას სამხედრო ნაწილებმა ჩაუარესო.

სასტუმროში დავბრუნდით. ყველა აღფრთოვანებული იყო ნანახით. თბილისში რომ დავბრუნდები, მამას ვეტყვი, „ერმიტაჟში" გაუგებარი სურათი ვერ ვნახე, ყველაფერი ნათელი იყო-მეთქი.

ვისადილეთ, ჩვენს ჩანთებს წამოვავლეთ ხელი და ავტობუსით კვლავ სტადიონისკენ გავწიეთ. ვეებერთელა ტრიბუნები ათასობით მაყურებელს აევსო. გასახდელში შევედით და სპორტული ფორმის ჩაცმა დავიწყეთ. უცებ ვალოდია კრავცოვის მომღიმარ სახეს მოვკარით თვალი — ფანჯრიდან გვიყურებდა. დიმიტრი მწვრთნელს ვთხოვეთ და მალე ვალოდია ჩვენს გვერდით იყო.

— ხედავთ, რამდენი ხალხია სტადიონზე! ეს თქვენი და თქვენი კოლეგების ხათრით, თორემ ჩვენი გუნდის მატჩებს ცოტა მაყურებელი ჰყავს. თამაშს ვერ იგებს და რისთვის უნდა მოვიდეს მაყურებელი? — ცხარობდა ვალოდია.

ჩვენი გასვლის დროც მოვიდა. „დურუჯი" რიგით მეხუთე უნდა ყოფილიყო კოლონაში. ჩვენს წინ მოეწყვნენ „რაკეტა", „ზვეზდა", „სატურნი", „კოსმოსი".

— ჰო, ჰო, რა მჭექარე სახელები აქვთ! „დურუჯი" გაუძლებს? — მაგრამ მერე ვიფიქრე, გამარჯვებისთვის მარტო სახელი რომ კმაროდეს, მაშინ „ვულვერჰემპტონი", სამშობლოში მგლებს რომ უწოდებენ, მუდამ ინგლისის ჩემპიონი და თასის მფლობელი უნდა იყოს.

ყველა დელეგაციას მაყურებელი ტაშით ხვდებოდა. როცა სტადიონის დიქტორმა გამოაცხადა, ცენტრალურ ტრიბუნას საქართველოს გუნდი ჩაუვლისო, ტაშმა იქუხა. ტრიბუნებიდან გვესმოდა: პაიჭაძე, ღოღობერიძე, ჩოხელი, მესხი, მეტრეველი... გული სიამით გვევსებოდა. აქაც რა დიდი სახელი ჰქონიათ ჩვენს სასიქადულო ფეხბურთელებს!

ბოლოს მონაწილე გუნდების კაპიტნები გამოიძახეს ჩემპიონატის ალმის ასამართავად. ჩვენი კაპიტანი ნიკო კახიანი სხვა გუნდისთავებთან ერთად ალმის ასაწევად გაიქცა.

... აი, მთავარმა მსაჯმა ჩემპიონატი გახსნილად გამოაცხადა და ჩვენ ისევ ტაშის გრიალში გასახდელებს მივაშურეთ. სასწრაფოდ გადავიცვით და ჩვენთვის გამოყოფილ ადგილზე მოვთავსდით — „ზენიტი" და „სპარტაკი" უკვე გამოსულიყვნენ საასპარეზოდ.

... სასტუმროში დაბრუნებულებმა ვახშამზე რატომღაც ყველამ ერთხმად უარი ვთქვით. ცუდადაც მეძინა — ხან რა მესიზმრებოდა, ხან რა. მეღვიძებოდა და სულ მომავალ თამაშზე ვფიქრობდი. დილით თვალი რომ გავახილე, სამივეს ეძინა. საათს დავხედე, ჩვენი ადგომის დრო მოსულიყო. ბიჭებს შევძახე და ისინიც ფეთიანებივით წამოცვივდნენ.

სტადიონისკენ გავწიეთ. დღეს აქ ერთმანეთს ხვდებოდნენ „რაკეტა" და „ზვეზდა" — ჩვენი მომავალი მეტოქეები. ერთ-ერთ ტრიბუნაზე რომ ამოვყავით თავი, გუნდები უკვე ერთმანეთს ესალმებოდნენ. დიმიტრი მწვრთნელი შუაში ჩაგვიჯდა და თამაში დაიწყო თუ არა, გვიხსნიდა, რომელ გუნდთან როგორ უნდა გვეთამაშა.

— „რაკეტის" ფეხბურთელები ოდნავ ტლანქები არიან (რა სახელს აფუჭებენ, გავიფიქრე მე), მათ წინააღმდეგ სწრაფ ტემპში თამაშია საჭირო. თანაც გამუდმებით უნდა შევუტიოთ, რომ კონტრიერიშების საშუალება არ ჰქონდეთ. ხედავთ, მეორე ნომერი როგორ გაიტყუეს მინდვრის შუაგულში. ახლა „ზვეზდა" სწორედ აქედან შეუტევს.

მართლაც, „ზვეზდამ" მარცხენა ფლანგიდან გაარღვია მეტოქის დაცვის ხაზი და გოლიც გაიტანა!

შესვენების შემდეგ კვლავ აშკარა იყო „ზვეზდის" უპირატესობა და მატჩიც მისი გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. მთელი თამაშის განმავლობაში ჩვენს აღმზრდელს პირი არ მოუკუმავს, ორივე მეტოქე ძირფესვიანად დაგვიხასიათა და მათი თამაშის ავკარგზე სრული წარმოდგენა შეგვიქმნა.

დადგა სარბიელზე ჩვენი გუნდის გასვლის დროც. სტადიონის შესასვლელთან კვლავ შევხვდით ვალოდია კრავცოვს. მან ყველას სათითაოდ ხელი ჩამოგვართვა და გაგვამხნევა:

— „რაკეტის" თამაში უკვე ვნახე, დასცხეთ, ნუ გეშინიათ, გამარჯვება თქვენია!

მინდორზე ფეხი შევდგით თუ არა, ოდნავ შევკრთი. ვერც მოთელვა გამომივიდა ისეთი, როგორიც მინდოდა. დიმიტრი მწვრთნელი ალბათ გუმანით მიხვდა ჩემს განწყობილებას და როცა მსაჯმა გუნდები სათამაშოდ გამოიძახა, მე კი არა, მთელ გუნდს უთხრა:

— ეგ შიში თამაშის დაწყებისთანავე გაგიქარწყლდებათ.

მწვრთნელი მართალი გამოდგა. თამაში დაიწყო თუ არა, შვება ვიგრძენი. მერე კი, როცა მედგრად შევუტიეთ მეტოქეს, გული მომეცა. ბურთი ნიკომ მიიღო, წინ გამიგდო და მთელი ჩვენი გუნდი დაიძრა მეტოქის კარისკენ. ცრუ მოძრაობით ორი რაკეტელი მოვატყუე. კიდევ მინდოდა წინ გასვლა, მაგრამ ამ დროს ნოდარი თავისუფალი აღმოჩნდა საჯარიმო მოედნის ხაზზე. უმალვე გადავაწოდე ბურთი. ძლიერი დარტყმა. „რაკეტის" მეკარემ მხოლოდ თვალი გააყოლა კარში მიმავალ ბურთს.

სულ მალე ბურთს კვლავ მე დავეუფლე. მივიწევ წინ, წინ... გავხედე მინდორს. ჩვენების ჩაკეტვა უკვე მოესწროთ. ამიტომ კიდევ წინ წავედი — ერთი მეტრი, ორი, სამი... ვხედავ, მეკარე შეშინებული ციყვივით აქეთ-იქით დახტის. მეც დავარტყი და ბურთი შხუილით გაეხვია ბადეში.

ტრიბუნებიდან ტაში და შეძახილები მოგვესმა. ერთი მხარე მაინც ძალიან აქტიურობდა, ვიღაც ფეხზე იდგა, მაღლა აწეული ხელით ქუდს იქნევდა და გაჰყვიროდა:

— გრუზია, გრუზია!

ვიცანი, ვალოდია იყო. თანატოლები შემოეკრიბა გარს...

მეორე ტაიმში ბურთი საერთოდ არ გასულა.

დილით მწვრთნელმა გაგვაღვიძა. მთელი დღე ლენინგრადის გაცნობას მოვანდომეთ. ვიყავით სმოლნში, ვნახეთ ლენინის კაბინეტი, დავათვალიერეთ ისაკის ტაძარი და ბევრი სხვა საინტერესო ადგილი.

საღამოს მიწვეული ვიყავით ჩვენი შეფების — კიროვის სახელობის ქარხნის კლუბში. საზეიმო შეხვედრა მოგვიწყვეს, შემდეგ გვიჩვენეს სპორტული კინოსურათები, საჩუქრებიც დაგვირიგეს. ძალიან ნასიამოვნები დავბრუნდით სასტუმროში. დაძინებამდე დარჩენილი დრო „ზვეზდასთან" მომავალი მატჩის გარჩევას მოუნდა.

... მშვენიერი დილა გათენდა. ნამდვილი სამხრეთული მზე ანათებდა. ერთ ადგილზე ვერ ვისვენებდით, მომავალ მეტოქეზე ვფიქრობდით გამუდმებით. სტადიონზე წასვლის დროც მოვიდა. ქუჩაში გადავიხედეთ, — ჩვენი ავტობუსი უკვე ჩამომდგარიყო... ღიღინით დავეშვით სასტუმროს კიბეზე. ჩინებულ გუნებაზე ვიყავით.

სტადიონზე კვლავ ვალოდია დაგვხვდა. ღიმილით გვითხრა:

— ბედნიერი ფეხი მაქვს — დღესაც გაიმარჯვებთ! ჩემი ბიჭებით სამხრეთ ტრიბუნაზე ვიქნები.

თამაში დაიწყო, „ზვეზდამ" მაშინვე პრესინგს მიმართა: არც ჩვენ გვაძლევდა თამაშის საშუალებას, არც თვითონ თამაშობდა. ნიკომ დაგვიძახა:

— ბიჭებო, ტემპი!

ჩვენც ტემპს ვუმატეთ, თანაც, მთელს მინდორზე გავიშალეთ. მარცხენა ფლანგიდან მოპირდაპირე მცველი გამოვიტყუე, ბურთი ზურაბს გადავეცი და წინ გავიჭერი. ზურაბმა ბურთი თემოს გადააწოდა, თემომ ჯიმშერს... ამ დროს სრულიად თავისუფალი ვიყავი. ის-ის იყო უნდა მეყვირა, ჩქარა ბურთი-მეთქი, რომ ისიც უეცრად ჩემს ფეხებთან გაჩნდა. უკეთეს მომენტს ვერ ინატრებდი! დაყოვნება არ შეიძლებოდა და მეც არ დავაყოვნე.

— გოლი! — ვიყვირე.

ზ. ჯაფარიძე.

(გაგრძელება იქნება)

გაგრძელება. იხ. „ლელო" №№ 39, 42, 44.

# პირველ ტრასაზე

საქართველოს სპორტსმენებმა მთიდან ციგებით დაშვებაში საკავშირო სარბიელზე ძალა პირველად ამ სამიოდე წლის წინ სცადეს. მაშინ ქვიშხეთელმა ჭაბუკებმა გამოცდა კარგად ჩააბარეს და საპრიზო ადგილები დაიკავეს. მას შემდეგ სპორტის ეს სახეობა სსრ კავშირში თანდათან პოპულარული გახდა. საქართველოში ციგაობის განვითარებისთვის სათანადო ღონისძიებები დაისახა: ბაკურიანში, კოხტაგორაზე, საკავშირო მნიშვნელობის ტრასა აიგება; ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის გადაწყვეტილებით, უკვე შეიქმნა საციგაო სპორტის სპეციალური ჯგუფი, იზრუნეს ინვენტარის შეძენისთვის.



საქართველოს ზამთრის III სპარტაკიადის ბოლო დღეს ბაკურიანში ამ სახეობაში პირველი საჩვენებელი შეჯიბრებაც ჩატარდა. ახალი, 90-მეტრიანი ტრამპლინის გვერდით მოწყობილ 350-მეტრიან ტრასაზე რამდენიმე ჭაბუკმა აიღო სტარტი. მართალია, ისინი სპეციალური ციგებით არ ასპარეზობდნენ, მაგრამ პირველმა ცდამ ცხადყო, რომ სპორტის ამ სახეობას ჩვენში კარგი მომავალი აქვს.

სურათზე: ერთადგილიანი ციგებით შეჯიბრების მომენტი.

ფოტო ო. გელაშვილისა.
(ჩვენი სპეც. კორ.).

# დათბა თუ არა...

ევროპის კონტინენტზე ოდნავ დათბა თუ არა, რეგბისტები მინდორზე გავიდნენ და საერთაშორისო ტურნირები დაიწყეს: გაიმართა პირველი შეხვედრები ხუთთა თასის, ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასისა და სხვა რანგების შეჯიბრებათა პროგრამით.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის IV გათამაშების წინასწარ შეჯიბრებაში ამ თასის შარშანდელმა მფლობელმა — რუმინეთის გუნდმა საფრანგეთის კოლექტივს უმასპინძლა და წააგო—9:14 (3:6). სამაგიეროდ, მან ჩეხოსლოვაკიელებთან მატჩში „იძია შური": დიდი ანგარიშით მოიგო — 42:6 (19:3).

ფრანგებმა, რომლებიც შარშან ერთგვარ კრიზისს განიცდიდნენ, წლეულს კარგად დაიწყეს. ხუთთა თასის გათამაშებაში მათ 40 ათასი შოტლანდიელი მაყურებლის თვალწინ სძლიეს მასპინძლებს — 11:9 (11:6). შემდეგ ფრანგებმა შინ მიიღეს ირლანდიელები. შესვენებამდე ანგარიში არ გახსნილა. საბოლოოდ კი მატჩი მასპინძლებმა მოიგეს — 8:0.

შოტლანდიისა და ირლანდიის გუნდები მეორე ტურის თამაშებშიც დამარცხდნენ. შოტლანდიელები უელსელებთან შეხვედრაში პირველ ტაიმს იგებდნენ (9:3), მაგრამ შესვენების შემდეგ ინიციატივა ხელიდან გაუშვეს და მატჩი წააგეს — 9:18. ირლანდიელები ინგლისის ნაკრებთან დამარცხდნენ — 3:9.

გაიმართა სხვა შეხვედრებიც. საფრანგეთის რეგბისტებმა ამხანაგურ მატჩში მიიღეს უელსის ნაკრები. მასპინძლებმა ყველასთვის მოულოდნელად შესვენებამდე უხეიროდ ითამაშეს და მეტოქის 8 ქულის საპასუხოდ მხოლოდ 2 ქულა მოიპოვეს. მეორე ტაიმში ისინი გაცილებით უკეთ თამაშობდნენ, იგი მოიგეს (9:7) კიდეც, მაგრამ საბოლოოდ დამარცხდნენ — 11:15.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა არგენტინისა და შოტლანდიის ეროვნული გუნდების საერთაშორისო ამხანაგური შეხვედრა. იმარჯვეს არგენტინელებმა — 20:6.

◆ ომსკი, 9 მარტი. აქ დამთავრდა „კლასიკოსთა" საკავშირო ჩემპიონატის მეორე ნახევარი — შეჯიბრებები დანარჩენ ხუთ წონით კატეგორიაში. ომსკის ხალიჩა ძალიან იღბლიანი გამოდგა ციმბირელი მოჭიდავეებისთვის — ოთხმა მათგანმა ჩემპიონის წოდება მოიხვეჭა. ესენი არიან: ნოვოსიბირსკელი კ. ოლზოევი (52 კგ-მდე), ომსკელები ხ. იმაშევი (62 კგ-მდე), ვ. იგუმენოვი (74 კგ-მდე) და ა. კოჩნევი (100 კგ-ზე ზევით). „ციმბირული მონოპოლია" მხოლოდ ალმაათელმა ვ. რიაზანცევმა დაარღვია — ოქროს მედალი მოიგო 90 კგ-მდე წონით კატეგორიაში.

◆ რიო-დე-ჟანეირო, 9 მარტი. 83-ე წუთზე პელეს გატანილმა ბურთმა ბრაზილიის ნაკრებს გამარჯვება მოუტანა არგენტინის ეროვნულ გუნდთან განმეორებით მატჩში — 2:1. „მარაკანას" სტადიონზე გამართულ თამაშს 100 ათასი მაყურებელი ადევნებდა თვალს. დანარჩენი ორი გოლი შესვენებამდე გაიტანეს ბრაზილიელმა ჟაირზინიომ და არგენტინელმა ფეხბურთელმა ბრინდიზიმ.

◆ ლიმა, 9 მარტი. პერუს ფეხბურთელთა ნაკრებმა ამხანაგურ მატჩში ანგარიშით 1:0 დაამარცხა მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მასპინძლები — მექსიკელები. ეს ერთადერთი ბურთი 63-ე წუთზე გაიტანა პერუელთა თავდამსხმელმა ლეონმა.

◆ კაირო, 9 მარტი. საბჭოთა ჩოგბურთელებმა გაიმარჯვეს ეროვნებათა თასის გუნდურ შეჯიბრებაში — ფინალში ანგარიშით 2:1

## $20^{45}$

სძლიეს არაბეთის გაერთიანებული რესპუბლიკის ნაკრებს. თბილისელმა ა. მეტრეველმა მოუგო ა. დაუდის (6:4, 7:5), ხოლო მოსკოველმა ვ. კოროტკოვმა — ი. მაჰმუდს (6:4, 6:2). წყვილთა შეხვედრა საბჭოთა ჩოგბურთელებმა წააგეს.

◆ ლუგანო, 9 მარტი. შვეიცარიის ამ ქალაქში მიმდინარე საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში 7 ტურის შემდეგ ლიდერობს დანიელი ბ. ლარსენი — 4 ქულა და 3 გადადებული პარტია. II ადგილზეა ფ. ოლაფსონი (ისლანდია) — 3,5 (2), III — რ. ბირნი (აშშ) — 3 (3).

◆ გეტებორგი, 9 მარტი. სკანდინავიის ქვეყნების მძლეოსანთა აქ გამართულ შეჯიბრებაში შვედმა ჩ. იზაკსონმა ჭოკით 534 სმ სიმაღლე გადალახა. 22 წლის სპორტსმენის შედეგი ახალი მსოფლიო მიღწევაა დარბაზებისთვის — იგი 1 სანტიმეტრით მეტია ამერიკელი ბ. სიგრენის ძველ რეკორდზე.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 03180